სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტო

SPATIAL AND URBAN DEVELOPMENT AGENCY

KARR0111105509223

ფაქტობრივი მისამართი: 0112, ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №154
154 David Aghmashenebeli Avenue, 0112, Tbilisi, Georgia.

№ 04/388

31 / მაისი / 2023 წ.

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული
სააგენტოს სახელმწიფო ქონების
პრივატიზების დეპარტამენტის უფროსის
მოვალეობის შემსრულებელს ბატონ
ლაშა დვალიშვილს

ბატონო ლაშა,

სსიპ-სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი 2023 წლის 19 მაისის № 6/27453 (შემოსული დოკუმენტი 418/21 თარიღი: 19.05.2023) წერილი, რომელიც ეხება ბაკურიანის სარეკრეაციო ტერიტორიაზე, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთიდან (ს/კ N64.30.06.413) ნაწილის, კერძოდ - 425 კვ.მ მიწის ნაკვეთის პრივატიზებას, დანართის შესაბამისად და გაცნობებთ, რომ "ბაკურიანის სარეკრეაციო ტერიტორიის ქალაქთმშენებლობითი გეგმების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 2 დეკემბრის N591 დადგენილებით დამტკიცებული გეგმების შესაბამისად დაინტერესებაში არსებული 425 კვ.მ მიწის ნაკვეთი მდებარეობს სპეციალურ ზონაში (სპზ-2).

სპეციალური ზონა (სპზ-2) - წარმოადგენს განაშენიანებული ტერიტორიის საზღვრებში არსებულ/დაგეგმილ გამწვანებულ ტერიტორიას. ფუნქციურ ზონაში ნებადართული სახეობებია: პირველადი სამედიცინო დახმარების პუნქტი, სპორტული მოედანი (მაყურებელთა ტრიბუნებისა და მათი ინფრასტრუქტურის ან სხვა შენობების გარეშე), საზოგადოებრივი ტუალეტი, ტურისტული მომსახურების ობიექტი, საინფორმაციო ცენტრი, სალარო, მომსახურების ობიექტი, ჯიხური ან/და დროებითი პავილიონი (სავაჭრო ან/და საგამოფენო), ბარი, კაფე, სწრაფი კვების ობიექტი, რეკრეაციული სივრცის მომსახურების ობიექტი. ქვეზონისთვის რეგლამეტით დადგენილი განაშენიანების ზოგადი პარამეტრებია: მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი კ1-0.1-მდე, მიწის ნაკვეთის განაშენიანების სიმჭიდროვის მაქსიმალური კოეფიციენტი კ2-0.1-მდე, მიწის ნაკვეთის გამწვანების მინიმალური კოეფიციენტი კ3-0.7-დან, შენობა-ნაგებობის მაქსიმალური სართულიანობა: 2 სართული მანსარდით, შენობა-ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლე: კედლის ბოლომდე 7.5 მეტრი, კეხამდე 12.5 მეტრი.

პატივისცემით,

სსიპ–სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი
განვითარების სააგენტოს უფროსი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

იოანე მენაბდე